ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №198

10 ოქტომბერი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებისა და სააუქციონო კომისიის 2012 წლის 10 ოქტომბრის დასკვნის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1406 გ/მ წყალსადენის ქსელის ბალანსიდან ჩამოწერის შედეგად მიღებული, გრუნტის საფარველს ქვეშ განთავსებული (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.00.020; 28.00.021) 39.368 ტონა ჯართისა და დ. ჩოხატაურში გურიის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.157) პრივატიზება საჯარო აუქციონის ფორმით.
2. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის შესაბამისად.
3. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ ,,24 საათში“ და ადგილობრივ პრესაში.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აცხადებს საჯარო აუქციონს
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე II ლოტად

I ლოტი: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი:

№	მდებარეობა	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ.	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	„ბე" 30% (ლარი)	„ბიჯი" 10% (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	დ. ჩოხატაური, გურიის ქუჩა	81	972	292	97	20	28.01.22.157

II ლოტი: ჯართი

№	ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ტონა)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი) 30%	„ბიჯი" (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	ჯართი	39.368	5090	1527	509	20	28.00.020; 28.00.021	განთავსებულია გრუნტის საფარველის ქვეშ

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, სააუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს (მიიღებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში);
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამასაბუთებელ საბანკო ქვითარს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

აუქციონში გამარჯვებულმა გამოსასყიდი თანხა უნდა დაფაროს 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად დათქმულ ვადაში, მის მიერ შეტანილი ,,ბე" უკან არ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან დაუბრუნდება.

,,ბე"-ს და აუქციონის მონაწილის ბილეთის ღირებულება შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 24008705; საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამამზადებელ პირებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებით იხდის აუქციონში გამარჯვებული პირი.

მსურველებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ გასაყიდი ქონების მდგომარეობას.

აუქციონი ჩატარდება 2012 წლის 29 ოქტომბერი 15.00 საათზე, განაცხადის მიღება შეწყდება აუქციონის ჩატარების დღეს 13.00 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 959775; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა